სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/136

ქ. თბილისი 30 სექტემბერი 2022 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე- რექტორის პროფესორ ლევან კლიმიაშვილის გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით დაჯილდოების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ზურაბ გვიშიანის მოხსენებითი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2022 წლის 30 სექტემბრის №01-05-02/28 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მიღწევებისთვის, ახალგაზრდების აღზრდაში გაწეული დიდი წვლილისთვის, 190-მდე სამეცნიერო-მეთოდური ნაშრომის ავტორი,ღირსების ორდენის კავალერი, სტუ-ის ვიცე-რექტორი, საინჟინრო აკადემიის ნამდვილი წევრი, პროფესორი ლევან კლიმიაშვილი დაჯილდოვდეს გიორგი ნიკოლაძის სახელობის მედლით;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე : ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**